№ 71 აპრილი 2, კვირა 1889 აპრილი 2. კვირა № 71

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

მთავრობის ნება-დართვით

კვირას, 2 აპრილს,

ტფილისის სობრანიის დარბაზში

იქნება გამართული

ქართული სასულიერო კონცერტი

3 განყოფილებად

მღვდლის ვასილ კარბელაშვილის მიერ. მგალობელთა გუნდი იტყვის 16 სხვა-და სხვა საგალობელს, ნოტებზედ დაწყობილს ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ.

დაწვრილებით უოველივე აფიშებშია გამოცხადებული. (1—1)

კვირას, 2 აპრილს,

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

ქართულ დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრება.

განსახილველი საგნები: ა) გასულ სეზონის ანგარიშის განხილვა; ბ) ახალის მმართველობის არჩევა და გ) საზოგადოების ახალის წევრების არჩევა.

სხდომა დაიწყება დილის 11 საათზედ.

## დღევანდელი კრება

დღეს დრამატიულს საზოგადოებას კრება აქვს ახალთა შორის წევრებისა და მართველობის ამოსარჩევად. ამ საგანზე ორის დღის წინად რამდენიმე სიტყვა ვსთქვით და კიდევ იმ საგანსვე ვუბრუნდებით.

ისე არა ნამოქმედარი კაცისა არ არის ყველასათვის ადვილად დასანახავი, ყველასათვის ადვილად გასარჩევი და გასარჩევი, როგორც თეატრი და სცენაა. ყველანი მივდივართ თეატრში, ყველას ადვილად შეგვიძლიან ნაკლულევანება შევამჩნიოთ, ამ ნაკლულევანებას ხელი მოვჭიდოთ და ნაწილ-ნაწილად საქვეყნოდ ყველასათვის დასანახავად გამოვააშკარავოთ.

ეს გარემოება ჩვენს საზოგადოებას ხელს უმართავდა ყოველ შემთხვევაში ყოველივე ნაკლულევანება შეენიშნა და საყვედურით მიემართნა დრამატიულ საზოგადოების მართველობისათვის

ამას ბევრი სხვა გარემოებაც ერთოდა: რეპერტუარის ნაკლებობა, სცენის მოუწყობლობა, არტისტების რიცხვის სიმცირე და სხვანი და სხვანი.

ყველა ამ ნაკლულევანების მიზეზად ხდიდნენ ძველანდელ მართველობას,—კარგად გამჭრიახედ არ ირჯებაო. იქნება ზოგი რამ შენიშვნა სამართლიანი იყოს, მაგრამ მომატებულ ნაწილად-კი უსამართლო საყვედური ისმოდა. დღეს დრო არ არის გამოვიძიოთ ყველა ის მიზეზი, რომლისაგანაც წარმოსდგება ათას გვარი მოუხერხებლობა, ნაკლებობა, უხამსობა და სხვანი. დღეს მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ სასაყვედურო ლაპარაკი ისმის ხოლმე მართველობის შესახებ.

სამართალი მოითხოვს, რაკი ახლა მართველობის ამორჩევაა, ამ მომჩივართ იზრუნონ და მართველობაში ამოირჩიონ ისეთი კაცები, რომელთაც იცნობს ვითარცა საქმის მცოდნეთა, მოხერხებულთა, გამჭრიახთა და ცრთგულ მუშაკთა. მართველობაში საჭირო არიან მოლაპარაკენი-კი არა, არამედ მოსაქმე კაცები, იმისთანები, რომ რეპერტუარისთვის იმუშაონ თითონ და სხვებიც ამუშაონ, ნივთიერი ღონის ძიება და ფული მოუპოვონ, ჰმართონ და გაუძღვნენ დრამატიულს დასს. ამისათვის საკმაო არ არის, რომ კვირაში ერთხელ შეიყარნენ სხდომაზე და გაუთავებელი სჯა და ლაპარაკი გაბან. არა, აქ ნამდვილი ჯაფა და თითქის მუდამ დღიური წვალებაა საჭირო. ამას გარდა ნუ დაივიწყებთ, რომ გარჯისათვის ჯილდო არა მოელით-რა.

აი, თუ ამისთანა მართველობის ამორჩევა მოახერხა საზოგადოებამ, რასაკვირველია, მოსალოდნელია, რომ საყვედურს ნაკლებად შევიტყობთ და იქნება საქმეც უკეთესად წავიდეს. მაგრამ უპირველესი-კი ის არის, რომ ამ ამორჩევისათვის საზოგადოებაში მოვიდნენ წევრნი და ყველა იმისთანანი, ვისაც სურვილი აქვს დაეხმაროს ქართულის თეატრის საქმეს. თუ ეს ასე არ იქნა, არც არა მართველობის ამორჩევა მოხერხდება და, როგორც წინადა ვსთქვით, თვით დრამატიულ საზოგადოების ყოფნაც საეჭვო იქნება.

ბ.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 1 აპრილს, მისმა ბრწყინვალებამ ტფილისის გუბერნატორმა, თ. შერვაშიძემ, ვიცე-გუბერნატორმა ჩაიკოვსკიმ და ტფილისის პოლიცმეისტერმა დაათვალიერეს ათივე პოლიციის ნაწილი, ამ ნაწილთა მოხელენი და იმათი იარაღი და ტანისამოსი გასინჯეს.

*** დღეს, 2 აპრილს, ტფილისის კლუბის დარბაზში დანიშნულია ქართული სასულიერო კონცერტი. იგალობებს ხორო მღვდლის ვასილ კარბელაშვილისა ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებად დაწყობილს სასულიერო საგალობლებს კარბელაანთ კილოსას. ჩვენში ეს პირველი მაგალითია, რომ სასულიერო საგალობლების კონცერტი იმართება. ღმერთმა ქნას, რომ ეს პირველი ნაბიჯი ამ ახალს საქმეში საფუძვლად დაედოს საეკლესიო გალობისა და მუსიკის წარმატებას ჩვენში.

*** ამას წინად გვწერდნენ კავკავიდგან, რომ აქაურს ქართველობასა და სომხობას ძალიან სურს და ეხალისება ქართულის წარმოდგენის ნახვა. ამიტომაო, იწერებოდნენ, კარგი იქნება ტფილისის ქართული დრამატიული დასი გვესტუმრებოდესო. კავკაველთა სურვილისთვის ყურადღება უთხოვებია ჩვენს დასს და გადაუწყვეტია საკვირაცხოვლოდ წავიდეს კავკავს, სადაც განზრახვა აქვს გამართოს ოთხი წარმოდგენა. პირველად წარმოადგენენ: აკაკის „თამარ-ცბიერსა“ და ა. ცაგარლის „ბაიყუშს“, მეორედ—გ. სუნდუკიანცის „პეპოს“ და „პარიჟელს ბიჭს“, ან „ხათაბალას“, მესამედ—ა. მოჩხუბარიძის „არსენას“ და თ. რ. ერისთავის „ბიძიასთან გამოხუმრებას“ და მეოთხედ — სარდუს კომედიას „გავიყარნეთ“ და თავ. რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ—მერე დაქორწილდნენ“. დასში შემდეგი მო-

## აი ისტორია.

წლევანდელ თებერვლის და მარტის ნომრებში რუსულმა ჟურნალმა „Сѣверный Вѣстникъ“-მა დაჰბეჭდა ორი წერილი, რომელთათვისაც ავტორს დაურქმევია საერთო სახელი „Письма о Грузіи“. რა აზრი ჰქონია ავტორს, როცა ამ წერილებისათვის ხელი მიუყვია, თითონვე მოგვითხრობს.

იგი წერილების თავშივე გვეუბნება, რომ განვიზრახეო გაკვრით (бѣгло) ვაცნობო მკითხველებს სურათი ქართველთა სულიერის და ნივთიერის ცხოვრებისა ისე, როგორც იგი გამოიხატა ქართველთა ისტორიასა, ლიტერატურასა და ეხლანდელ ყოფა-მდგომარეობის ფორმებშიაო. ამ ჩემის სუსტის ღვაწლით მსურსო განვულვიძო რუსეთის ინტელიგენციას წყურვილი უფრო ღრმად და ზედ-მიწევნით შეისწავლონ ეს ბევრ-გვარად საინტერესო ერი, რომელიც, ავტორის ფიქრით, სხვა ამიერ-კავკასიის ტომებზედ უმრავლესია და უფრო განვითარებული მოქალაქობრივად (гражданcки) და რომლის ჩამომდინარობა და ენა დღესაც უცნაურ საგნად მიაჩნიათ უუმეცნიერესს ანტროპოლოგებსა და ლინგვისტებსაო.

ამას ამბობს ავტორი 49 გვერდზედ თებერვლის ნომერში და ამ ნაირად გვაუწყებს თავის განზრახვასა და ნიშანში ამოღებულ საგანსა. ხოლო მარტის ნომრის 57 გვერდზედ იგივე ავტორი თავის განზრახულს საგანს ამ რიგად გვიხსნის: მე მინდოდა მეცნობებინაო,—„საქართველოს ერი მართლა დაბერდა, დაიცალა თავის ღონისაგან, თუ ჯერაც დღეს აქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისათვისაო. თუ ჩვენმა წერილებმა ამ ძირეულს და თავდათავს საკითხს საკმაოდ ცხადი პასუხი მისცა, ჩვენ ჩვენს განზრახულს საგანს შესრულებულად ჩავთვლითო“. აქედამა სჩანს, რომ თავი და თავი საგანი ავტორისა ისა ყოფილა, რომ ამ ძირეულს საკითხს საბუთიანი პასუხი მოუპოვოს.

ჩვენ იმის გამოძიებაში არ შევალთ,— რამოდენად ეთანხმება თავში განზრახული საგანი ბოლოში გამოთქმულსა. ჩვენ მარტო ის გვიკვირს, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ამისთანა საკითხს იძლევიან ისტორიის მკვლევარნი, რომ ეს ჩვენი გაკვირვება ცუდ-უბრალო გამოკიდებად არავინ არ ჩამოგვართვას, საჭიროა გამოვწლათ ასო-ასო იგი თავი და თავი საგანი, რომელიც ავტორს ნიშანში ამოუღია და რომლის მისაღწევად აუღია კალამი ხელში. გვეშინიან გადასხვაფერება სიტყვისა, ან აზრისა არ მოგვივიდეს თარგმანში და ამიტომაც ავტორის სიტყვებს რუსულადაც მოვიყვანთ. ავტორი ათავებს-რა თავისებურ გამოკვლევას საქართველოს ერის ძველის-ძველ ცხოვრებისას, ამბობს:

„Безъ яснаго знакомства съ этими доисторическими условіями, читатель не могъ бы вѣрно судить ни о его (грузинскаго народа) литературѣ, ни о бытовыхъ явленіяхъ его современной жизни и для него (для читателя) не былъ бы рѣшенъ *самый главный вопросъ, дѣйствительно-ли грузинскій народъ старъ (!) и износилъ свои силы (!), или-же онъ до сихъ поръ не начиналъ еще жить полною интенсивною (?) жизнью и сберегъ свои силы для будущаго (!)*. Если письма наши дали достаточно ясный отвѣтъ на этотъ основной (!) вопросъ, мы считаемъ цѣль нашу достигнутою“.

თუ ამას დავიჯერებთ, ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ ყველაზედ ძირეული და თავი და თავი საგანი რომელისამე ერის ისტორიის მკვლევარისა ისა ყოფილა, რომ გამოარკვიოს,— დაბერდა იგი ერი და ღონისაგან დაიცალა, თუ ჯერ არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ღონე მერმისისათვის. ჯერ ქვეყანაზედ ამ აზრით არავინ შესდგომია ისტორიას და პირველობა ამაში ჩვენს ავტორს უნდა დავულოცოთ

აშკარაა, ავტორს ცოტად თუ ბევრად უწამებია უკვე დაძველებული და ბევრთაგან გამტყუნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითეულს ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს აუცილებლად. დრეპერის აზრით, ეს ყველა ერისათვის გარდაუვალი კანონია, როგორც ცალკე ადამიანისათვისა. ამას ვერც ერთი ერი ვერ წაუვა, ვერ გადასცდებაო. ჩვენს ავტორსაც ეს აზრი უნდა ჰქონდეს, როცა თავის თავს ჰკითხავს,—დაბერდა საქართველოს ერი, თუ არაო. უამისოდ მისი საკითხი მომცდარის კაცის ჩხირ-კედელობა იქმნება, ცუდ-უბრალოდ მოცდენა მთქმელისაცა და მსმენელისაც.

ან რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელნი ერნი ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ-ინდოელისა, აფრიკის ზანგისა, აბაშის ეთიოპელისა და გვითხარით ამათში რომელი ვიგულისხმოთ ბებრად და რომელი ახალგაზდად? მართალია, ამათში არიან ძველნი და ახალნი და ეს სულაც იმ სიბებრესა და სიყმაწვილეს არა ჰნიშნავს, რომ ერთს სიკვდილის მეტი არა დარჩენოდეს-რა, როგორც ცალკე კაცს, სიბერეში ჩავარდნილს, და მეორე-კი ზრდაში იყოს, მინამ დაბერდებოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას მოასწავებს, რომ ერთი ერი ადრე გამოსულა საისტორიო სარბიელზედ და მეორე გვიან.

თუ ბევრი მაგალითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად ალგვილა დედამიწის ზურგიდამ, სიბერეს-კი არ აბრალებენ ეხლანდელნი მეცნიერნი, არამედ შინაურ საქმეთა მოუწყობლობას, ურიგობას და გარეთა მიზეზებს,

## ფელეტონი

### მთა და ბარი

მთაო, რად აგრე ჰგულდიდობ,
ცრად დაჰყურებ ბარსაო?!
რადგანაც მირით გიცქერის,
მით არ უყადრებ თავსაო?
სალის კლდეებით ამაყობ,
თოვლითა, ყინულითაო;
ჯანჯღა, ურჩხან-ქუჩითა,
პირი-მზე მწირულითაო.
შენ არად მოგწონს ბარისა
დიდი სიმდიდრე ხილითა,
ოქროთ ნაქარგი გულ-მკერდი
ზედ მარგალიტის ღილითა;
არ-რადმე გეჩვენიკება
ვარდის გაფურჩქვნა დილითა;
გულით დარდების გადაყრა
წითლის კახურის ღვინითა.
შენი მმა არი ბარიცა,
სთველ-ზაფხულ ბარაქიანი,
გმირთ სისხლით შაღებილი აქვს
ველები ბალახიანი.
შენი ხევებიც იქ ჩადის,
ხევები კალმახიანი.
საფუძვლად, მთაო, ბარი გაქვს,
იცოდე, ტალახიანი.
თუ ის ჩავარდა უფსკრულსა,
შენც თან ჩაჰყვები ნიადა;
არ გარგებს, თორო შენ იცი,
მთავ, ამაყობა ფრიადა.

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშენი იქნებიან: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალოვისა და მელიქოვისა და ბ-ნნი ე. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ვ. გუნია, ი. ცაგარელი და სხვანი.

ამ სახით, კავკაველს ქართველობასა და სომხობას თავისი წადილი შეუსრულდებათ და იხილვენ ჩვენს საუკეთესო მოთამაშეთ.

*** **ქ. ხოხუმი:** აქაურ ყმაწვილ ქართველობას განზრახვა აქვს ქართული წარმოდგენები გამართოს კლუბის დარბაზში და ამიტომ მიჰმართა ბ-ნ აბაშიძეს და სთხოვა პიესების არჩევა და საჩქაროდ გამოგზავნა.

*** **თელავი:** „ხმა ღვთისა—ხმა ერისაო“, ნათქვამია და მართალიც არის. წარსულს ზამთარში საშინელი თოვლი, ხმელი ქარ-ყინვა და სასტიკი სიცივეები რომ იყო, ხალხი ამბობდა: „ამ საშინელს ქარ-ყინვა-სიცივეს გაზაფხულზედ დიდი ავადმყოფობა მოჰყვებაო“. მართლაც და ჯერ მარტი არ დალეულა და ვხედავთ არა თუ ნიშნებს ავადმყოფობისას, არამედ თვით საშინელ მძვინვარე სენის მოქმედებას. ამ ჟამად თელავის უფროს-ერთს სოფელში მოდებულია სხვა-და სხვა გადამდები ავადმყოფობა. ამას თან მოჰყვა მძვინვარე შავ-ხურვება, ანუ სახადი, რომელიც მუსრს ავლებს აქაურობას. ბევრგან მეტად ავის ხასიათისაა ეს სენი. მე თითონ ვნახე რამდენიმე ავადმყოფი, რომელთაც მეტის სიცხისაგან სახე შეშლილი აქვთ, პირი გამშრალი და გამშრალს ენას ეღარ ამოძრავებენ სალაპარაკოდ.

თელავსა ჰყავს ერთი მაზრის ექიმი, ბ-ნი ზელნიცკი, და ორი ფერშალი და თუმცა ბ-ნი ექიმი დაუზარელი და მხნე კაცია, მაგრამ თავისის ფერშლებითურთ ქ. თელავსაც ვერ ასდიან, იმდენი ავადმყოფები ჰყავთ, და როგორ შესძლებენ მთელის მაზრის მოვლას, თუნდა ათჯერ და ასჯერ მეტი მხნეობაც გამოიჩინონ. ერთად-ერთი საშუალება-ღა დაგვრჩენია, საჭიროა ბ-ნმა მაზრის უფროსმა, სანამ ეს მძვინვარე სენი მთლად მაზრას არ მოსდებია, დაუყოვნებლივ მოითხოვოს, საიდამაც ჯერ არს, მაშველი ექიმი და ფერშლები.

*** **იქადაშვე:** ეს ხომ ერთი სამწუხარო ამბავი. ეხლა მეორესაც გიამბობთ და თქვენვე დაინახავთ, თუ რა წესი და რიგი ჰსუფევს ზოგს აქაურს სასწავლებელში. შაბათს, 25 მარტს, თელავის საქალაქო სასწავლებლის სკოლის მასწავლებლებმა წაიყვანეს ამ სკოლის მოსწავლეები ალაზანის ხიდზე. ჩავიდნენ ალაზანზე ფეხით. დასვენების შემდეგ მასწავლებლებთან ერთად შეგირდებმა დაიწყეს მიმოვლა მიდამო კიდეებზე. ამ დროს გაღმა მხრით ტყიდგან გამოჩნდა თელავის სასულიერო სასწავლებლის ოთხი შეგირდი. ესენი შეიარაღებულნი იყვნენ თოფებით და თან ახლდათ ერთი არა-კეთილის ზნეობის თელაველი კინტო. კინტო დაინახავს თუ არა მეორე მხარეს სამოქალაქო სკოლის მოსწავლეებს, მოინდომებს მათ წრეშიაც განავარდებას, გამოართმევს თოფს სასულიერო სასწავლებლის ერთს შეგირდს, სახელდობრ ხ—ს, წამზე გამოვა და შეუმჩნევლად ჩაერევა სეირნობიდამ უკან დაბრუნებულს ყმაწვილებში, რომლებსაც უკან მოჰყვებოდათ მასწავლებლები. მოუნდომებს ხან ერთს და ხან მეორეს ხელის გადახვევას. ყმაწვილებმა იუკადრისეს კინტოს ამ გვარი უშვერი საქციელი და დაითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ გასულიყო მათის წრიდამ. მაგრამ კინტომ წასვლის მაგიერ თოფით დაუწყო შინება. შეექმნათ ყმაწვილებს ჟღრიამული და ძახილი: „გასწი, დამეკარგე აქედგანაო!“, მაგრამ წასვლის მაგიერ კინტო გაისვრის ყმაწვილებში თოფს, საფანტით გატენილს, და დასჭრის ბარკლებში ერთს 12 წლის შეგირდს ლ—ს, ღარიბის დიაკვნის შვილს. ეს მოჰხდა გზის პირას და ისე უეცრად და თვალის დახამხამებაზედ, რომ უკან შორი-ახლოს მომავალ მასწავლებელთ თვალი ვერ შეასწრეს ამ შემთხვევას. გაიგეს თუ არა, დაიჭირეს კინტო, წაართვეს თოფი და იმისი ვინაობა გაიგეს. რაღაც იღბლად ამ დროს წამოაწყდა თავს ჩვენი განთქმული ჯარა-ექიმი, ი. თურმანიძე, რომელმაც მაშინვე დაადო შესაფერი წამალი დაჭრილს ყმაწვილს და არტახებით შეუკრა ჭრილობა. მასწავლებლებმა დაიქირავეს ცხენის ურემი, დაუდეს ზედ დაჭრილი ყმაწვილი და წამოიღეს თელავში, სადაც ჩააბარეს გამწარებულს მშობლებს.

ამაზე სწარმოებს გამოძიება და იმედია, უფრო ნათლად გამოირკვევა საქმის გარემოება.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საზარელი შემთხვევა არ მოხდებოდა, თელავის სასულიერო სასწავლებლის შეგირდთა შორის დაცული რომ იყოს პედაგოგიური წესი და რიგი...

*** 31 მარტისას, მეცხრე განყოფილებაში, ქალაქის ექიმმა მრევლოვმა პოლიციის მოხელეთა თანადასწრებით დაათვალიერა მეთევზეებისა, ძეხვებისა და ყასბების დუქნები, ფურნეები და აღმოაჩინა ფუთამდე უვარგისი თევზი.

*** მერვე განყოფილებაში ტფილისის მოქალაქეს დავით კოჯიროვს მისმა შეგირდმა ალექსი გურამიშვილმა, თელავის მაზრის სოფ. ქველ-გაკაზის მცხოვრებმა, მოჰპარა სახარაზო ხელ-საწყობი სულ სამოცის მანეთისა. გურამიშვილს კარები გაუტეხნია. დამნაშავე შეიპყრეს და თითონვე აღიარა თავისი დანაშაული.

*** 31-ს მარტისას, მერვე განყოფილებაში, ქალაქის ექიმმა მრევლოვმა დაათვალიერა ყასბებისა, თევზეულობისა და საწვრილმანოს დუქნები და იპოვნა რამდენიმე წახდარი თევზი, დამპალი ვაშლი, ერბო და ჩურჩხელა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ ჭეშმარიტების აღსადგენად თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

ამას წინად, 28 თებერვალს, დაბეჭდილი იყო ერთი წერილი გაზეთს „მწყემსში“, რომლის ავტორი ჩემს მოქმედებას ადარებდა აშინოვისას. ამ სახით მე მატყუარად და ქვეყნის მძარცველად გამომსახა. ჩემგნით პასუხის მიცემა საჭირო არ იყო: პირველი იმიტომ, რომ ვისაც ქრისტეს სარწმუნოება და სამშობლო უყვარს, იმას ეცოდინება ჩემი მოღვაწეობა ჩემ მიერ გაშენებულის სავანისა და დაკარგულის ივერთა მონასტრის ამოგებისათვის; მეორე იმიტომ, რომ მე, როგორადაც მოხუცებული ბერი, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში უდგას, არად ვსასოებ სოფლიურს დიდებასა და ჯილდოს და მეგულვების წარდგომა საშინელისა და პირუთვნელის მსაჯულისა წინაშე მაცხოვრისა ჩემისა ქრისტე ღვთისა, რომელიც მიაგებს კაცად კაცადსა საქმეთა მათთაებრ სახელისა მისისათვის, ნეტარებად ვსთვლი ტანჯვასა და არ მეწყინება ცილის-მწამებელთაგან გინება და ლანძღვა, მაგრამ, ვითარცა ვექილი მონასტრისა, ვალდებული ვარ ვუპასუხო გაზეთს „მწყემსს“.

„მწყემსის“ წერილის ავტორი მე შინაურ აშინოვად მრაცხს. აი იმისი სიტყვები: „მეორე აშინოვი რუსეთის ვრცელ სახელმწიფოში ერთი კუთხიდგან მეორე კუთხეში გარბის-გამორბის, ხატი ჰკიდია გულზედ, აგროვებს ფულებს, ჰპირდება ხალხს საქართველოს შემოვუერთებ ნახევარს კონსტანტინეპოლს დარდანელის სრუტით, ხალკედონიას, მაკედონიას და თესალონიკეს ათონის მთით. ამავე დროს რუსებს რას ჰპირდება, ვინ მოსთვლის, და მატყუარობით მოგროვილ ფულებით ჰყიდულობს თავის ნათესავების სახელზედ წისქვილებსა და მამულებს და ვექსილებით ასესხებს ფულებსო“ და სხვა და სხვა. ეხლა ვიკითხოთ, სად სცხოვრობს ეს უგუნური საზოგადოება, რომელიც დაიჯერებს რომელისამე მოხუცებულის ბერის დაპირებას, რომ უზარმაზარს ქვეყნე[ბს] შემოვუერთებ საქართველოს და ამ დაპირებისათვის ფული გამოიმეტეთო.

«მწყემსს» რომ დაეწერა, 24 წელიწადია ვენედიქტე ბერი სცდილობს დაუბრუნოს ქართველებს თავისის უძრავის ქონებით ივერიელთა საკუთრება—ივერიის მონასტერიო, რომელიც აღშენებულია წმ. ათონის მთაზე, ეს-კი მართალი იქმნებოდა. ჩემს მიერ აღშენებულს სავანეში დღეს ღვთის შეწევნითა და მორწმუნე ერის მეცადინეობით სცხოვრებენ 50 ძმანი მღვდელ-მონაზონნი, მწირ-მონაზონნი და მორჩილნი სავანისანი. დღემდე ჩემი ერის-კაცობაში ნაშოვარი და მორწმუნე ერის შენაწირავი სავანის აღშენებისა და ძმათა საზრდოსათვის არის დახარჯული. სანამ ხელმწიფე იმპერატორისა და მორწმუნე ერის შემწეობით დაკარგულს ივერთის მონასტერს ამოვიგებდე ძმათა საზრდოებისა და სავანისათვის, მართალია, საჭიროა წისქვილები, მამულები, მაგრამ მე არსად მახსოვს მქონებოდეს გასესხებული ფულები და წისქვილები ჩემის ნათესავების სახელზე, და თუ სადმე რამე მაქვს, ნეტავი ვიცოდე რომელს სოფელში და რომელს წყლებზედა აქვსთ ჩემს ნათესავებს ჩემგან ნაყიდი წისქვილები, ანუ მამულები და ან ფული ვისა ჰმართებს?

მართალია, მე ნათესავები მყავნან გარდა სავანის ბერებისა. ჩემის მშობლების ნაშობნი არიან ორნი ერის კაცნი, მაგრამ იმათ მამა-პაპის დანარჩენი თავისი წილი მამული აქვთ და ჩემი წილი გაყიდული მაქვს და ის ფულიც სავანეს შევსწირე, რომლისაც ბერად შევდექი. წისქვილები და გასესხებული ფულები-კი არც ჰქონები-

---

მაგალითებრ, მტერთაგან ძლევასა, აკლებასა და აოხრებას. დაბერება ერისა რომ მართალი იყოს, მაშ თავის დროზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ერნიც სიბერეს გადაჰყვებიან, დაიხოცებიან, ამოსწყდებიან. ეს შესაძლოა მოჰხდეს, თუმცა ძნელად წარმოსადგენი-კია, მაგრამ თუ მოჰხდა, აქ სიბერე არაფერს შუაში იქნება იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც-კი ყოვლად შეუძლებელია. ამაზედ სიტყვის გაგძელება მეტი იქნება. თვითონ რუსულ ლიტერატურაშიაც-კი საბუთიანად გამოძიებულია ეს საგანი და ჩვენ არ გვახსოვს, რომ რომელსამე დაწინაურებულს მეცნიერს რუსეთისას არ გაეკილვოს ასე თუ ისე დრეპერის აზრი ამის თაობაზედ. ჩვენ გვიკვირს, რომ ავტორს, ვითარცა კაცს ასეთის ჰქა-ქუხილით მოუბარს „о свободномъ и широко льющемся потокѣ свѣта и знанія, о связи съ могучимъ, глубокимъ родникомъ общечеловѣческой мысли“*), ზურგი შეუქცევია იმ потокъ-ისათვისაც და იმ родникъ-ისათვისაც და არამც თუ რაშიმე გამოუყენებია, ყურიც არ უთხოვებია. მაშ რაღა აზრი უნდა ჰქონდეს ამისთანა ყალბზედ შეყენებულ ფრაზებს, თუ თვითონ მთქმელს საჭიროდ არ დაუნახავს არც ის потокъ-ი свѣта и знанія, არც ის родникъ-ი общечеловѣческой мысли და მარტო ორიოდე კაცის ნათქვამს უანგარიშოდ, ბრმად გაჰყოლია, თითქო იმ მთელ კაცობრიობის აზრთა წყაროში, იმ ნათელისა და ცოდნის ნიაღვარში მარტო დრეპერისა და მის მიმდევართა აზრი იყოს და სხვისა არავისი.

«სიბერე ერისა», ჩვენის ფიქრით, უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის. თუ ესეა, რის მაქნისია კაცმა ეგ უქმი, არაფრის მომასწავებელი, სრულებითაც არ-არსებული საგანი იძიოს ან მსოფლიო ისტორიაში საზოგადოდ, ან საქართველოსისაში ცალკე რაც არ არის და არც ოდესმე იქმნება, იმისი ძებნა ტყუილი მოცდენაა, წყლის ნაყვაა და, რასაკვირველია, ყველას ნება აქვს როგორც ჰსურს, ისე შეიქციოს თავი. ეს კიდევ არაფერი. რაც უნდა იყოს, აქ დრეპერს მაინც იმოწმებს ავტორი თავის გასამართლებლად და ჩვენდა გასამტყუნებლად, თუმცა, ვიმეორებთ, მინამ ამას დაგვემართებდეს, ავტორმა ჯერ უნდა იკისროს, რომ მის მიერ ქებულ-დიდებული „родникъ-ი общечеловѣческой мысли, ის потокъ-ი свѣта и знанія“ მისთვის ცარიელი ფრაზაა, მისთვის არ არსებობს. აკი ვამბობთ, ამ „ერის სიბერის“ გამო ავტორს კიდევ ხელ-მოსაჭიდებელი ხავსი აქვს თავის გადასარჩენად. საქმე მეორე წინადადებაა.

„დაიცალა (ქართველი ერი) ღონისაგან (?) თუ ჯერ დღეს აქამომდე არ დაუწყვია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისათვისაო“. (износилъ свои силы, или-же онъ досихъ поръ не начиналъ еще жить полною интенсивною жизнью и сберегъ свои силы для будущаго?)

აბა ერთი გვითხარით, ეს „сберегъ свои силы для будущаго“ რა ჰკუაში მოსასვლელი საკითხია? ყველა ყველა და ამისთანა საკითხს-კი არ მოველოდით არავისაგან. ვინც ამისთანა საკითხს იძლევა და ამ რიგად, იმას ორი რამ უნდა რწმენად მიღებული ჰქონდეს, ერთი მეორეზედ უფრო საოცარი, უფრო საკვირველი, რომ სხვა არა ესთქვათ-რა. ერთი ისა, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ღონისაგან სცლის ერსა, ესე იგი, ასუსტებს, აუძლურებს და მეორე — არა-ინტენსიური ცხოვრება-კი აზოგებს ღონეს მერმისისათვის. დააკვირდით ზემო მოყვანილს სიტყვებს ავტორისას და დაინახავთ, რომ, თუ ამ სიტყვებში რაიმე ლოღიკაა, მისი საკითხი სწორედ ამ ორ გვარ რწმენისაგან მომდინარეობს. სხვა სათავე არა აქვს მის საკითხსა. გაგონილა ეს სადმე და ვისგანმე!

მაშ რაღაზედ იხოცვენ თავს ევროპიელნი „სრულის ინტენსიურ ცხოვრებისათვის“ თუ იგი ღონეს არა ჰმატებს და ღონისაგან სცლის! სულელები!.. მოსულიყვნენ და ჩვენგან ჭკუა ესწავლათ!.. ის არა სჯობია ჩვენ, ქართველებს მოგვბაძონ*), ინტენსიურ ცხოვრებას ჩვენსავით თავი არიდონ და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის. აი ესეც თქვენი ახალი ამბავი! მოდით და ამას იქით ინატრეთ „სრული ინტენსიური“ ცხოვრება!.. დღეს აქამომდე გვეგონა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და თურმე ნუ იტყვით დასარჩობი ფონი-კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა. ღონისაგან არ დაცლა, ღონის შერჩენა ხომ ბედნიერებაა და მაშასადამე ბედნიერი ერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიურ ცხოვრების მაცდურებას არ აჰყოლია, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის. ამაზე ბედნიერი უფრო დათვები და მგლები უნდა იყვნენ, რადგანაც ამათ გუშინდელი დღეც არ ახსოვთ და, მაშასადამე, ადამიანზედ უფრო მეტი ღონე შეუნახავთ მერმისისათვის. გაგონილა ასეთი სასაცილობა! გაგონილა ასეთი მოთხრა და გაბიაბრუება ისტორიისა! ჰოი потокъ-ო свѣта и знанія, ჰოი родникъ-ო общечеловѣческой мысли „რაზედ გაცუდდნენ ძალნი თქვენნი მომჯადოენი“.

„ინტენსიური ცხოვრება“ ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია, კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისთვის-კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვა-კუთხედია. იგია თვითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, — იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში. თუ კულტურა, ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს და პირ იქით ღონისაგან სცლის, ვიღა ოხერი იქნება ინატროს და თავი გამოიდოს კულტურულ, ინტენსიურ ცხოვრებისათვის.

ღონე შეინახება მერმისისათვისაო, გვაწუგეშებს ავტორი. კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა სჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეენახოს. რა ოხრობისათვის-ღაა საჭირო, რიღას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავ ინტენსიურ ცხოვრებისათვის. თუ ესეა, ან თვითონ ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლურებს! ეს რა ბაბილონის გოდოლია, არ გვესმის და იქნება

*) ავტორის სიტყვებია.

*) ავტორი მერე დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიურის ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვიხაროდეს!) ღონე შეგვინახავს მერმისისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათ და არც აქვსთ. მყავს გვარის კაცები და არა ნათესავები სამეგრელოში, რომლებიც ჩემს ბერად შედგომამდისაც მდიდრები იყვნენ და დღესაც მდიდრები არიან, მაგრამ იმათი სიმდიდრე არც ჩემგნით არის და არც იმათგან მე რაიმე მეკუთვნის.

ჭეშმარიტების მტერმა «მწყემსი» გარდააქცია მგლად ქრისტეს ცხოვართა შორის, რათა დაფანტოს ცხვარი ღვთისა და აი რისთვის: რადგან ჩემს აღშენებულს სავანეში სცხოვრებენ ქართველი ბერები, სხვათა მონასტერთა და სავანეთა ათონისათა ყოველთა ძმათა თავის სამშობლოში აქვსთ ნავთსაყუდელი; თვით რუსებსაცა აქვთ ჩვენში ნავთსაყუდელი ძმათათვის. მეც მთავრობას ვსთხოვე მოეცა ჩემთვის ძველი ხოფის მონასტერი სამეგრელოში, ზღვის პირის მახლობლად, რომ ეს მონასტერი ჩვენ ძმათა ჰქონოდათ ნავთსაყუდლად სამშობლოში. ათონის მონასტრიდგან ხოფის მონასტერში გავრცელდებოდა მისვლა-მოსვლა. ვისაც ათონში წასვლა არ შეეძლებოდა, იგი ხოფის მონასტერში იპოვიდა საეკკლესიო წესსა, გალობასა და მსახურებაში დახელოვნებულს ბერებს, და მთელს კუთხეს საუნჯედ შეექმნებოდა ეს ადგილი. მეც მივმართე მთავრობას და მოვახსენე, რომ აუცილებლად საჭიროა ეს ხოფის მონასტერი განსამტკიცებლად-მეთქი ამ ორთა შორის სულიერის კავშირისა, მაგრამ მამა არხიმანდრიტმა ხოფის მონასტრისამ არ ისურვა. გაზეთმა „მწყემსმა“ პირველ მარხვის კვირაში ნაცვლად კეთილის მოქმედებისა ჩაშალა ჩემი განზრახვა.

„მწყემსს“ ვერ შეუტყვია, რომ ჩემს მოღვაწეობას როგორც კეთილ-მორწმუნე ერნი, ისე მთავრობა თვალყურს ადევნებს. პირველად ათას რვაას სამოც-და-ათ წლამდე დიდის მთავრის მიხეილის მიწერილობის ძალით სამჯერ გამოძიებული იქმნა კონსტანტინეპოლის ელჩებისაგან, გრაფის ეგნატიევისა, თავად ლობანოვ-როსტოვსკისა და ნოვიკოვისაგან. შემდეგ 1881 წლისა ბრძანდებოდა ათონში, ჩვენს სავანეში, მთავრობის ბრძანებით, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი. 1885 წელს მოვიდა უწმინდესის სინოდისაგან გამოგზავნილი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი სერგეი ვასილის ძე კერსკი და მთავარ-კონსული იასტრებოვი თავის სეკრეტარ დემერიკითურთ. ამავე წელში ელჩისაგან გამოგზავნილი სეკრეტარი მანსუროვი იყო. უკანასკნელად გასულს წელს დიდმარხვის მეოთხე კვირაში ჩვენს სავანეში ბრძანდებოდა დიდად პატივცემული საქართველოს ისტორიკოსი დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე, რომელსაც ჩვენი შრომა მოეწონა და ჩვენს სავანეს შესწირა დიდ-ძალი ფული. ვისაც სურს შეიტყოს ჩემგან თქმული ჭეშმარიტება, მიჰმართოს ბ-ნს ბაქრაძეს და იმისგან გაიგებს.

ათონის ქართველთა სავანის დამფუძნებელი წინამძღვარი და ვექილი მღვდელ-მონაზონი ვენედიქტე.

# უცხოეთი

საფრანგეთი. ბულანჟე გაიქცა სამზღვარ-გარეთ ბელგიაში და ეხლა ბრიუსელში იმყოფება. მამაცს გენერალს არ უნდოდა, რომ შეეპყრათ, ან დაეპატიმრებინათ და ამიტომ თავს უშველა, თუმცა საეჭვოა, ბულანჟეობის საქმეს ეშველება რამე ამით თუ არა. გაზეთები ამბობენ, რომ ბულანჟეს მისი მეგობრები: ნაკე, ლაგერი, ტიურკე, ლეზანი და სხვანი ჩააცივდნენ, გაშორდი აქაურობას, ნება არა გაქვს არ იზრუნო შენის ხელშეუხებლობისათვისაო. ამას გარდა, რესპუბლიკა მტარვალების ხელშია და, ვინც იცის, რას გიზმენ, როცა ხელში ჩაუვარდები, იქნება ცოცხალიც არ გადაგარჩინონო.

აი რა ურჩია ნაკემ: „სასურველო გენერალო! ხომ იცით, რას ჰფიქრობენ თქვენ შესახებ. უთუოდ ხელში ჩაგიგდებენ ავაზაკები და ისე მოგეპყრობიან, როგორც იმათი ნება იქნება. თქვენი ვალია იზრუნოთ, რომ ხელ-ფეხი არავინ შეგიკრათ, კვლავ იმეთაუროთ და ხელ-მძღვანელობა გაუწიოთ თქვენს მომხრე დასს შორიდამაც ისე, როგორც ახლოდამ უწევდით სულ ერთია, საიდამაც უნდა მხედართ-მთავრობდეს გენერალი ოღონდ-კი ჯარს ძლევა-მოსილება მიანიჭოსო“. ამაზე გენერალმა უპასუხა ნაკეს, რომ ვაითუ ჩემი საზღვარ-გარეთ წასვლა სხვაფრივ ახსნანო. ნაკემ გაუმეორა თავისი აზრი და დაუმატა: „ნება მიბოძეთ, როგორც იმ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგს, რომელსაც ისე დაუმსახურებლად ჰკიცხავდნენ, ჩავერიო მაგ საქმეში და ფორმალურად დაგავალოთ, რომ თქვენ ნება არა გაქვთ არ იზრუნოთ თქვენის პირადის უვნებლობისათვის. მეც და აი ეს ჩემი ამხანაგებიც გირჩევთ ჩვენის თხოვნისამებრ მოიქცეთ. თქვენ მაგიერ მძევლად ჩვენ აქა ვრჩებით და თავდებობას გაუწევთ თქვენს სახელს. მაგას გარდა ჩვენ უკეთესნი მაჯულნი ვართ იმისი, რაც ვალად გაწევთ დღეს თქვენ ქვეყნის წინაშე“. იქვე მისცეს გენერალს ხელ-წერილები, რომ თქვენის წასვლის გამო პასუხის-გებას ჩვენ ვკისრულობთო. ბულანჟემ მაშინვე გადასწყვიტა გაქცევა ბელგიაში. ბარგი მიატანინა ერთს ნაცნობ ქალთან და მერე თავადაც მივიდა იქ. პოლიცია თვალყურს ადევნებდა გენერალს. პატარა ხანს უკან სახლიდამ გამოვიდნენ გენერალი და ის ქალი, აიყვანეს ეტლი და წავიდნენ ჩრდილო ვაგზლისაკენ. გზაზედ რამდენჯერმე გამოიცვალეს ეტლი და როცა მიატანეს რკინის გზის სადგურს, პოლიციელმა აუწყა ეს ამბავი პრეფექტს, ხოლო პრეფექტმა—შინაგანთა საქმეთა მინისტრს. გაზეთები აღარ გვაუწყებენ, მიიღეს თუ არა ღონისძიება პოლიციაში, რომ დაეშალნათ გენერლისთვის გაქცევა. ასე თუ ისე, გენერალმა, რომელიც გზაში შალით იყო შებურვილი, უშველა თავს და მალე ბელგიაში ამოჰყო თავი. მეორე დღესვე გაზეთი „Presse“-ში ლაგერმა დაბეჭდა წერილი და ამართლებდა ბულანჟეს. ბულანჟე იმიტომ გაიქცა, რომ აქ სიკვდილს უპირებდნენო. ის ერთად-ერთი კაცია, რომელიც ჰმეთაურობს დღევანდელის რესპუბლიკის წინაამდეგაო. გენერლის გაქცევამ ბევრ მის მომხრეზე ცუდად იმოქმედა გაზეთი „XIX Siècle“-ი ამბობს, რომ გენერლის გაქცევა ბევრს გაჭირებას აშორებს ქვეყანას თავიდამ მის გაქცევის შემდეგ ბულანჟეს დევნას აღარ დაუწყებს მთავრობა, რადგან ამ გაქცევით თვით დასდო მსჯავრი თავის თავისაო. გაზ. „Paix“-ი ამბობს, რომ ბევრი გაუგულგრილდება ისეთს მეთაურს, რომელიც გაჭირებას გაურბისო.

ერთმა არა-მცირედმა მოღვაწემ ბულანჟეობისამ, სახელდობრ ჟორჟ ტიებომ, ბულანჟეს გაქცევის შემდეგ თავი დაანება საეროვნო დასის კომიტეტს და გამოაცხადა, რომ არაფერი საერთო არ მინდა მქონდეს იმათთან, ვინც ბულანჟეს გაქცევა ურჩიაო. როცა ვიბრძვით ერისათვის, ამას სასიამოვნოდ-კი არა ვჩადივართ, არამედ იმისთვის, რომ შენც იწვნიო წვენი გაჭირებისა და უსამართლობისა იმათთან ერთად, ვინც მსხვერპლად შექმნილან ოლიგარხიის წყალობითაო. მეორე ბულანჟელი მიშელენი სწერს: როცა კაცი მეთაურად არის, უნდა თავის ალაგს იდგეს მტკიცედ და არ დაანებოს თავი იმ ჯარს, რომლის მხედართ-მთავრობაც უტვირთნია. დეე, შეიპყრონ, როგორც ბარბე, ან დახერიტონ, როგორც დელეკლიუზი დახერიტეს, და სირცხვილეული-კი არ უნდა იელტოდეს. ჩემის აზრით, ბულანჟელების კომიტეტი აღარ არსებობს. ყოველ შემთხვევაში მე მაინც ვაცხადებ, რომ აღარა ვარ წევრი იმ კომიტეტისაო.

# წვრილი ამბები

რკინის კანცლერის მეუღლე ყველაფერს აგროვებს, რაც-კი იმისს ქმარს შეეხება რითიმე: ლექსებს, წიგნაკებს, კარიკატურებს და ჟურნალ-გაზეთთა წერილებს. ამ „ბისმარკის კოლექციისათვის“ რკინის კანცლერის სასახლეში ცალკე ოთახია მომზადებული. ეხლა ამ ოთახში არ ეტევა თურმე ყველა ის, რაც-კი ბისმარკს შეეხება ასე თუ ისე. მართლაც-და, ერთი კვირა არ გაივლის, რომ ამ „ყოვლად შემძლე დიპლომატზე“ არა დაიბეჭდოს-რა. ამის გამო ქ-ნი ბისმარკი, ბერლინის გაზეთების სიტყვით, შუამდგომლობს ქმრის წინაშე, რომ ამ კოლექციისათვის კიდევ ორი ოთახი გადაიდოსო.

— პარიჟში სენის სამოქალაქო სასამართლოს ერთი საყურადღებო საქმე გაურჩევია. აი ეს საქმე რაში მდგომარეობს: ერთს ექიმს ავადმყოფის ყოველ ნახვისათვის ჯილდოდ 4 მანეთი მოუთხოვნია. როცა უთქვამთ, რომ 4 მანეთს მეტად ბევრსა თხოულობთო, 5 მანეთი მოუნდომნია. რამდენსამე დღეს შემდეგ შეუტყვია, რომ ავადმყოფი-ქალი, რომელსაც მე ვწამლობ, მდიდარი და შეძლებულიაო, და ყოველს მისვლაზედ ერთის თუმნის აღება მოუწადინია. სასამართლოს ექიმი უცვნია დამნაშავედ და იმისთვისვე გადაუწყვეტინებია სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯი. ავადმყოფმა-კი ექიმს 50 ჯერ მისვლისათვის ოთხ-ოთხი მანეთი უნდა მისცეს.

---

ავტორმა შემდეგს წერილებში აგვიხსნას.

ეხლა-კი უსაბუთოდ ჰკილავს ავტორი ჩვენებურ ინტელიგენციას 54 გვერდზედ, რომ „ტყუილად აზნევს აქ (საქართველოში) მზე თავის ბრწყინვალე და სიცოცხლის სასიხარულო სხივებსაო. იგი თითქო არც ათბობს, არც ანათებს და მარტო თვალს ახამხამებსო. რად არის ესე, ჰკითხულობს გულშემატკივარი ავტორი: კაცს აქ სული რად უგუბდება და რატომ ნათელი არა ნათობსო. ბევრიაო ამისი მიზეზი და უპირველესი, თავიდათავი ის არისო, რომ აქაურ ინტელიგენციას თავი შეუკეტნია, „потерявъ связь съ могучимъ и глубокимъ родникомъ общечеловѣческой мысли“.

ჩვენ გვგონია, რომ ავტორი არ უნდა უწყრებოდეს ჩვენებურს ინტელიგენციას ამისათვის, თუ თავისი დედააზრი, თავისი მოძღვრება „ღონის შენახვაზედ“ მართლა სწამს ავტორს, წყრომის მაგიერ, უნდა გახარებოდა, რომ ჩვენებური ინტელიგენცია მისის რეცეპტით იქცევა ამ შემთხვევაში: ღონეს ინახავს მერმისისათვის და ამიტომაც თავი შეუკეტნია, რომ კაცობრიობის «ინტენსიურმა აზრიანობამ» ღონე არ შემოახარჯვინოს.

აი სადამდე მიჰყავს კაცი უთავბოლო ფრაზებსა. ის თავიდათავი საგანი, რომლის გამოსარკვევადაც აუღია ავტორს კალამი ხელში და რომელიც გამოთქმულია ზემო მოყვანილ რუსულ ციტატაში, აშკარად გვეუბნება რა განძის პატრონი ყოფილა ჩვენი ავტორი. მას სწამებია ჯერ ისა, რომ ერის ცხოვრებაში სიბერეს თავისი ადგილი აქვს, მეორე ისა, რომ „ინტენსიური ცხოვრება“ ერისა ღონის გამომცლელია და მაშასადამე დამაუძლურებელი, მესამე ისა, რომ რომელს ერსაც ინტენსიური ცხოვრება არა ჰქონია, ჰკვა უხმარია და ღონე შეუნახავს მერმისისათვის და მაშასადამე წინ უნდა იყოს იმ ერზედ, რომელიც მისცემია ინტენსიურს ცხოვრებას და ამაობაში ღონისაგან იცლება. ესეც გამოვიდა სლავიანო-ფილების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულია.

ამას გვეუბნება კაცი, რომელიც ჰკიცხავს ჩვენებურ ინტელიგენციას თავი შეგიკეტნიათ და არ ეწაფებით კაცობრიობის აზრთა ყოვლად შემძლებელ წყაროსაო! უმეცრობას ის კაცი უკიჟინებს სხვას, რომელსაც „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ერის ღონისაგან დამცლელი ჰგონია და არა ინტენსიური ცხოვრება-კი ღონის შემნახველი.

ახლა აბა ჰნახეთ, სხვა ადგილას იგივე ავტორი იმავ ინტენსიურ ცხოვრებას რა ფრაზებით, რა ბუკითა და ნაღარით აქებ-ადიდებს: „всесильная современность, могучій и глубокій родникъ общечеловѣческой мысли, свободный и широко-льющійся потокъ свѣта и знанія, общечеловѣческая сокровищница слова и мысли“ და სხვანი და სხვანი. ახლა ერთი ჰკითხეთ ავტორს, საიდამ არის ყოველივე ეს თუ არ „ინტენსიურ ცხოვრებისაგან?“ რამ შეჰქმნა ეს ყოვლად შემძლებელი ეხლანდელობა, ეს ღონიერი და ღრმა წყარო კაცობრიობის აზროვანობისა, ეს თავისუფალი და განივრად მომდინარე ნიაღვარი ნათლისა და ცოდნისა, ეს კაცობრიობის საღარო სიტყვისა და აზრისა, თუ არ „ინტენსიურმა ცხოვრებამ?“

ნუ თუ ყოველივე ეს ერთად და თვითეულად ცალკე უტყუარი ნიშანი და მაგალითი არ არის „სრულის ინტენსიურის ცხოვრებისა“? თუ ესეა, ამის მთქმელს ვანა-ღა შეეძლო ბოლოს ეს ეკითხნა:

„Грузинскій народъ старъ (?) и износилъ свои силы (?), или онъ досихъ поръ не начиналъ еще жить полною интенсивною (?) жизнью и сберегъ свои силы для будущаго (?)“.

ორში ერთი: ინტენსიური ცხოვრება ან ღონეა, ან ღონისაგან დამცლელი. რომელი ერთი დავუჯეროთ ავტორსა. აქ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. ან ზემოხსენებული ქება-დიდება ცუდ-უბრალო ფრაზებია მტვერის ასაყენებლად, ან ეს უკანასკნელია ლითაიად მოყვანილი. თუ ერთიცა და მეორეც მართლა ცარიელი ფრაზები არ არის და აზრი რამა აქვთ, ძნელად დასაჯერია, რომ ერთისა და იმავე კაცისაგან იყოს ნათქვამი.

ახლა ჩვენ ხომ ვიცით რა ღრმა აზრი და საგანი ჰქონია ავტორს, როცა თავისის წერილებისათვის ხელი მიუყვია. საგანი, როგორც ჰხედავთ, ურიგო არ არის, რადგანაც აქედამ ერთი კარგი რჩევა გამოდის: ვერიდნეთ ინტენსიურს ცხოვრებას ერთი ათასიოდ წელიწადი კიდევ და ამით ღონე შეგვენახება უფრო შორეულ მერმისისათვის. და თუ ეს ღონის შენახვა კარგია, ჩვენს შემდეგთაც ვუანდერძოთ, ესევე ჭკუა იხმარონ, იმათაც ზურგი შეაქციონ ინტენსიურ ცხოვრებას და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის და ეგრე ერთი შთამომავლობა მეორეს მიჰყვეს ქვეყნის დასასრულამდე. ახლა დაიჟინებთ და იკითხავთ ეგ ღონე რაღა ეშმაკად უნდა ერსა, თუ ყოველთვის ზანდუკში შენახული ექმნებაო? ამისი-კი რა მოგახსენოთ. ხოლო ეხლა-კი ადვილად გასაგებია, ველურნი ერნი რად უფრთხიან, როგორც ჭირს, ინტენსიურს ცხოვრებას. თურმე ნუ იტყვით, არ იხარჯებიან და ღონეს ინახვენ მერმისისათვის. მეტი ჭკუა-ღა გინდათ! რომ სწორედ ამ ჭკუაზედ გვევლია ჩვენც, ამას ავტორი ცდილობს თავის წერილებში დაამტკიცოს. ეს ახალი მეცნიერება დღეს აქამომდე არავინ იცოდა და მადლობა ღმერთს, „Сѣверный Вѣстникъ“-მა ქვეყანას შეატყობინა ჩვენის ავტორის შემწეობით. რა თქმა უნდა, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ერთობ მთელი ევროპა თავს დაანებებს ინტენსიურ ცხოვრებას და ღონეს შეინახავს მერმისისათვის ჩვენებურადა, ქართველურადა. მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს ევროპისათვის ეს ახლად ნაპოვნი წამალი „ღონის შენახვისა“.

ყოველივე ესეც საკმაო საბუთს გვაძლევს ამაზედ გაგვეთავებინა ჩვენი საუბარი. ვინც ისტორიაში იმას ეძებს, — აცა ვინ არ მიეცა ინტენსიურს ცხოვრებას და ამით ღონე შეინახა მერმისისათვისაო, იმასთან ლაპარაკი მეტია. მაგრამ ჩვენ მაინც ამით არ ვათავებთ ჩვენს საუბარსა, იმიტომ-რომ ერთს ადგილას (53 გვერდზედ) ავტორი ამბობს, მე იმისთანა მხარეს ქართველთა ცხოვრებისას უნდა შევეხოო, რომელსაც ჯერ არავინ შეჰხებია ქართულს ლიტერატურაში და ამაში პირველობა მე შემხვდაო. მოდით და წყურვილი ნუ აგეშლებათ ბოლომდე მიჰყევით ავტორსა.

შემდეგში გავსინჯავთ, რა გზით, რა „ინტენსიურ ცოდნით“, ერთის სიტყვით, რა საგზლით უვლია ავტორს თავის ძირეულ და თავდათავ საგნამდე მისაღწევად და რა საკვირველებანი აღმოუჩენია გზა და გზა მსოფლიო ისტორიისათვის საზოგადოდ და ჩვენისათვის ცალკე.

— ინგლისის ახალგაზრდა მხატვარმა ჯენკინსმა ამას წინად დაარჩო თავისი საცოლე. სასამართლომ გაასამართლა ეს კაცი და იმასაც დარჩობა გადაუწყვიტა. ჯალათმა ზერრიმ ჩვეულებრივ არ ჩამოარჩო თურმე დასასჯელი. ჯენკინსი მალიან გამხდარი იყო და ზერრიმ ორივე ფეხზედ ოც-ოცი გირვანქა სიმძიმე მოაბა, რა არის გრძელის თოკის ხმარება არ დამჭირდესო. ეხლა ეს ჯალათი სამართალში მიეცათ უგანონო მოქმედებისათვის.

— გერმანელები არავის მოსწონთ, არც რუსებს, არც ფრანგებს და, როგორც ეხლა სჩანს, არც ამერიკელებს. პენსილვანიაში, პიტსბურგს, ამას წინად წარმოდგენა ყოფილა. სცენაზედ არტისტი-ქალები სხვა-და-სხვა ერს წარმოადგენდნენ თურმე, იმ ერისავე დროშა ეჭირათ ხელში და იმათსავე საერო საგალობელს ჰგალობდნენ. ვიდრე სცენაზედ საფრანგეთისა, ინგლისისა, ირლანდიისა და სხვათა დროშები ჰფრიალებდა და იმათი საგალობელი ისმოდა, საზოგადოება თანაგრძნობას აცხადებდა და ვაშა-ვაშით ამხნევებდა თურმე არტისტებს. ხოლო გამოჩნდა თუ არა სცენაზედ გერმანია და გერმანიის დროშა, აირია მონასტერი: „მირს გერმანია! არ გვინდა, არა! ამერიკის დროშა მოიტანონ!“ გაჰკიოდა ხალხი. საზოგადოება თანდათან ჰღელვდებოდა თურმე და პოლიციამაც ვერ დაამშვიდა. წესიერება მხოლოდ მაშინ ჩამოვარდა, როცა გერმანიის დროშა გაიტანეს სცენიდგან და უბედური არტისტი-ქალიც თან გაიყვანეს.

— საკვირველი დამოკიდებულება არსებობს ამერიკულს გაზეთებსა და მკითხველებს შორის. აი ერთი გაზეთი როგორ იხდის ბოდიშს თავისის მკითხველების წინაშე: „სამწუხაროდ, ბოდიში უნდა მოვიხადოთ მკითხველებთან უკანასკნელ ნომრის გამო. ეს ნომერი ისეთი ჭუჭყიანი და ტალახით აზელილი გამოვიდა, რომ ღურსმებრივის ნაწერის მკითხველნი მეცნიერნიც-კი ერთს სტრიქონს ვერ გამოარკვევდნენ, ამ ნომრის წაკითხვა რომ მოენდომებინათ. მიზეზი ის იყო, რომ საბეჭდავი წამალი სულ შემოგვეხარჯა. ხელის-მომწერნი რომ უგაზეთოდ არ დაგვეტოვებინა, ჩვენ თითონ გავაკეთეთ საბეჭდავი წამალი და დავიწყეთ გაზეთის ბეჭდვა. ეს ჩვენ მიერ შემზადებული წამალი უვარგისი აღმოჩნდა. ნუგეშად, რასაკვირველია, ისა გვაქვს, რომ ქიმიკოსები არა ვართ და ამასთან იმ ნომერში მაგდენად საყურადღებოც არა იყო-რა. ეს სიტყვები გვათქმევინა ჩვენთა ზოგიერთ მკითხველთა მიუხვედრელობამ. დარწმუნებულნი ვართ, რომ სხვანი მიხვდებოდნენ ამ მიზეზს უამსიტყვებოდაც“.

# დეპეშა

31 მარტი

პეტერბურგი. გზათა სამინისტროს მართვა დროებით მიენდო სტატს-სეკრეტარს გიუბენეტს. გაზეთები ბევრს კანდიდატს ასახელებენ ამ თანამდებობაზედ და მათ შორის: ანნენკოვს, ბობრიკოვს, შილლოს და პეტროვს, მაგრამ ნამდვილად ჯერ კიდევ არავინ იცის, ვის დანიშნავენ. განვენებულს მინისტრს პაუკერს ორშაბათს დაასაფლავებენ.

მოსკოვი. «Москов. Вѣд.»-ი ამბობს, რომ მიტროპოლიტი მიხეილი ბელგრადს აპირებს წასვლას აღდგომის შემდეგაო.

ბუქარესტი. პალატის დღევანდელს კრებაზედ კატარჯიმა სთქვა, რომ ეხლანდელმა მთავრობამ ნეიტრალიტეტი ქვაკუთხედად გაიხადაო და რაც შეეხება რუსეთის ქვეშევრდომთა განდევნას, მთავრობა შეუდგება იმ საკითხის გამორკვევას: რუსეთის ქვეშევრდომნი კანონიერად იქმნენ განდევნილნი, თუ არაო.

კატარჯის კონსერვატორული კაბინეთი შესდგა განსაკუთრებით შინაგან პოლიტიკის მოსაზრებათა გამო, ხოლო ეს მოსაზრებანი გავლენას არ იქონიებენ ნორჩის სახელმწიფოსა და გარეშე სახელმწიფოთა ურთიერთობაზედ.

31 მარტი

პარიჟი. დღეს დილით სენატმა აარჩია უმაღლესის სასამართლოს გამომძიებელი კომისია. ამ კომისიის არჩევანში არც ერთი მინისტრი არ იღებდა მონაწილეობას.

სენატორმა დენზრაეილმა გამოაცხადა, რომ, ჩემის აზრით, საპოლიტიკო კრებას ერის წარმომადგენელის განსამართლების უფლება არა აქვსო.

რომი. მოელიან, რომ აბისინიაში ტახტის მემკვიდრეობის გამო შინაური ომი ასტყდებაო.

პარიჟი. დღეს სენატმა მოისმინა პროკურორის ბრალდებითი სიტყვა ბულანჟესა, დილიონისა და როშფორის წინაამდეგ და შემდეგ საიდუმლო კომიტეტი შეადგინა.

პეტერბურგი, 1 აპრილს. პეტერბურგის ბირჟა: ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცლები გაიყიდა 97¼ მან., ხოლო ამ ქამად-კი იძლევიან 97¾ მან.

პეტერბურგის 31 მარტი, ბირჟა,

| | მყიდველ. მან. კ. | გამყიდველ. მან. კ. | გაყიდულ. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 45 |
| ტამოჟნის კუპონები . . | 149 | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 269¼ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 242¾ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქრონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამის ქრონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1889 წლის ზედ-ნადებია—6.
აპრილი 30 დღით არის.

2 დღე კვირა. ბზობა. კათოლ. ბზობავე. სომეხ. ბზობა. მაჰმად. მე-14 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—21, ჩადის 6—40. მთვარე 14 დღისაა.

3 დღე ორშაბათი. ღირსისა მამისა ნიკიტა აღმსაარებლისა. კათოლ. წმ. პლატონისა. მაჰმად. მე-15 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—41. მთვარე 15 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2 — | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 „ |
| „ 2 „ | 8 „ |
| სუკი . . . | 16 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 „ |
| ღორის ხორცი . . . | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

# განცხადებანი

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მაესხებელთ, რომ ბანკის წესდების მე 82 §-ის ძალით 1889 წლის 5 მაისს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საერთო კრება წევრთა არწრუნისეულს სახლში, სასახლის ქუჩაზედ. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1888 წლის განმავლობაში;

2) მოხსენება ბანკის მართველობისა სავარაუდო ხარჯთა აღრიცხვაზედ 188[illegible] წლისათვის;

3) მოხსენება მმართველობისა და ზედამხედველ კომიტეტისა იმის თაობაზედ, თუ როგორ განაწილდეს საყოველთაო საჭიროებისათვის 35% წმინდა მოგებისა;

4) მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალოს 1-ლი §-ი ბანკის წესდებისა;

5) არჩევანი მმართველობის ერთის წევრისა, ნაცვლად თ. ი. გ. მაჩაბლისა, და დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, ნაცვლად ანტონ ნიკოლოზის ძის ფურცელაძისა და თ. გიორგი სარდიონის ძის ციციშვილისა,—რომელნიც რიგისამებრ ანებებენ თავს სამსახურს. (1—5)

## წიგნის მაღაზია

### კ. ი. ნოდიასი

### ქ ფოთში.

ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სასულიერო-საეკკლესიო და სხვა მრავალ გვარი საკითხავი წიგნები. იქვე ისყიდება ყოველ ნაირი სამწერლო მასალები და ნივთები. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ნებართვით ნოდიავეა კომისიონერად ყველა სასულიერო და საეკკლესიო წიგნების გასაყიდავად ეპისკოპოზის ეპარხიაში.

(10—6)

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. წუთათელაძესაგან . . . . . . . | „ 40 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯავახაშვილისა . | „ 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | „ 50 |

იაფად გასყიდვა საქონლისა

# მხოლოდ დღესასწაულამდე

ცენტრალურს საგალანტერეიო მაღაზიაში

ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლებში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეიო საქონელი და ოჯახთათვის საჭირო ნივთები: თეთრეული, კორსეტები, ქვრსე, ხელთათმანები, ქოლგები, შლიაპები, ჩულქები, წინდები, ხელსახოცები, ალბომები, ნესესერები, კოსმეტიკები, მელქიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ლამპები, ჭურჭელი, საყმაწვილო სათამაშოები და სხვანი მრავალნი. (10—7)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

РОСКОШНОЕ ИЗДАНІЕ.

**Большая хромо-фото-литографическая точная копія съ знаменитой картины художника А. А. Иванова**

# «ЯВЛЕНІЕ ХРИСТА НАРОДУ».

*Съ подлинника, хранящагося въ Московскомъ Публичномъ Румянцевскомъ Музеумѣ — Огромныхъ размѣровъ хромо-фото-литографія художественно исполненная—Пояснительный историко-біографическій текстъ составленъ И. Ѳ. Токмаковымъ.*

*Картина* „Явленіе Христа Народу“, *писанная художникомъ А. А. Ивановымъ въ теченіе* тридцати лѣтъ,—*сдѣлала цѣлую эпоху въ русской живописи; знаменитые художники, какъ то: Крамской, А. Праховъ и многіе друг., нашли, что* означенная картина болѣе проникнута истинно-религіознымъ духомъ и вѣрнѣе, въ историческомъ отношеніи, библейскому характеру событій, *чѣмъ всѣ доселѣ извѣстныя заграничныя картины и иллюстраціи подобнаго рода, не исключая и* Доре.

*Н. В. Гоголь въ своемъ знаменитомъ этюдѣ о картинѣ:* „Явленіе Христа Народу“ *раскрылъ намъ величіе истинно-русскаго и православнаго творчества Иванова и указалъ на него, какъ на главу русской живописи; это же подтверждаетъ и А. Праховъ въ статьѣ своей: Матеріалы для біографіи А. А. Иванова (жур. „Пчела“ за 1875 г. № 23 и № 24). Равно какъ о помянутой картинѣ были вполнѣ сочувственные отзывы въ журналахъ „Воскресный Досугъ“ 1867 г. № 231 и „Иллюстрированная Недѣля“ 1874 г. Нельзя такъ же не указать и на отзывъ Архимандрита Ѳеодора о картинѣ Иванова СПБ. 1859 г.*

**Цѣна хромо-фото-литографической Картинѣ:** *Лакированная на бумагѣ—1 р. 50 коп., на холстѣ 2 р. 50 коп. За пересылку и упаковку на скалкѣ 50 коп. Подписавшимся на 10 и болѣе экз.—20% уступки.*

Адресъ: Мясницкая, магазинъ церковныхъ утварей Сытовы сыновья, соб. домъ.

(5—4)

Доз. ценз. Тифлисъ 1-го Апрѣля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской улиц. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე